წერილის ნომერი: **45-45252193**
თარიღი: **07/08/2025**

ადრესატი: N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია
მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი №31

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქალაქ ქუთაისში, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო

კოდექსი“ გათვალისწინებულ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის საარჩევნო ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების (პლაკატების) გასაკრავი ადგილების გამოყოფის, წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის)ჩასატარებელი შენობა - ნაგებობების ნუსხისა და იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალის შესახებ, რომლებზეც აკრძალულულია სააგიტაციო მასალების გაკვრა

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის, 46-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-4 პუნქტებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 აგვისტოს №190 დადგენილების საფუძველზე:

1. ქალაქ ქუთაისში, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს ნება დაერთოთ საარჩევნო პერიოდში განათავსონ ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები (პლაკატები) ქალაქ ქუთაისში, წერეთლის ქუჩიდან სადგურის მოედნამდე არსებულ საყრდენ კედელზე.

2. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსება/გაკვრა აკრძალულია საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, დაზვერვის სააგენტოსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, საგზაო ნიშნებზე, ირ.აბაშიძის გამზირზე კინო „სულიკოდან“ „ავტოქარხნის“ გზაგამტარ ხიდამდე, ბაგა-ბაღებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებზე, სპორტის სასახლის შენობაზე, მუზეუმების, თეატრებისა და რეაბილიტირებული შენობების ფასადებზე, გარე განათების ბოძებზე, მწვანე ნარგავებზე.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების (პლაკატების) გაკვრა დასაშვებია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საამისოდ განკუთვნილ სტენდებზე, რომელიც განთავსებულია შემდეგ ადგილებზე:

ა) ავტომშენებლის ქუჩა №33-ის წინამდებარე ტროტუარზე;

ბ) ახალგაზრდობის გამზირის №21-ის დასავლეთით არსებულ ნაპირსამაგრი ნაგებობების ფასადზე;

გ) გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის დასაწყისში, წითელი ხიდის სამხრეთით ავტოსადგომთან მდებარე სკვერში;

დ) დავით მანდარიას ქუჩაზე არსებულ კედელზე, №12 საჯარო სკოლიდან სადგურის მოედნამდე;

ე) ლეონიძის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებულ ტროტუარზე (ატს-ის შენობის დასავლეთით); ლ.ავალიანის ქუჩა №2-ის წინამდებარე ტროტუარზე;

ვ) ახალგაზრდობის გამზირის მე-5 შესახვევში მდებარე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

„მუხნარის“ ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე გაზონში;

ზ) ანჯაფარიძისა და ფოთის ქუჩების კვეთაზე არსებულ გაზონში (სადერევაციო არხის მიმდებარედ);

თ) ვაჟა-ფშაველასა და კიკვიძის ქუჩების კვეთაზე არსებულ სკვერში;

ი) თაბუკაშვილისა და ოცხელის ქუჩების კვეთაზე, ტროტუართან (არხის მიმდებარე ტერიტორია); სულხან-საბას გამზირი №9-ის დასავლეთით არსებულ ტერიტორიაზე;

კ) ნიკეას ქუჩის №32/№34 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აღმოსავლეთით, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს არსებულ გაზონში.

4. ზემოთ მითითებულ მისამართებზე განთავსებულ სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას პლაკატები ზომით არაუმეტეს, სიგრძე: 60 სმ, სიგანე : 42 სმ (A2 ფორმატი).

5. საარჩევნო სუბიექტები ვალდებულნი არიან არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყონ ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მიმართ გატარდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

6. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატების, დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზება შეუძლიათ განახორციელონ ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა №2, ნაკვეთი №1-ში მდებარე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის“ ტერიტორიაზე, ახალგაზრდობის გამზირი, №98-ის ჩრდილოეთით და ახალგაზრდობის გამზირი, №96-ის სამხრეთით არსებულ შენობაში (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სპორტის სასახლე“) და ქალაქ ქუთაისში, გ. ტაბიძის ქუჩის №58-ში (ქალაქი ქუთაისი, ყოფილი გ. ტაბიძის ქუჩა №60, ყოფილი №58, №24) მდებარე შენობაში (№2 მუსიკალური სკოლის შენობა, ფართობი: 718,61 კვ.მ). ამასთან, მითითებული ღონისძიებების, შეხვედრების გრაფიკი შეთანხმებული უნდა იქნეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სპორტის სასახლისა“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ადმინისტრაციასთან.

ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი